ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 37240182**
თარიღი:**18/01/2024**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ - დადგენილების პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 ოქტომბრის #52 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (შემდგომში პროექტი) განიხილა საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ და დაადგინა:

1. პროექტის მიღების საფუძველია „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 8 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #669 დადგენილების 34-ე და 36-ე მუხლები.

2. პროექტი ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ქვედა ზღვარს, რომლის სიდიდე განსაზღვრულია საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 7% -ის ოდენობით, ნაცვლად მოქმედი წესით განსაზღვრული ფიქსირებული სიდიდის - 7%-ისა.

3. პროექტში შეტანილი ცვლილება ხელს შეუწყობს აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის ოდენობის განსაზღვრას ოპტიმალური და საბაზრო პირობების შესაბამისი სიდიდით შეთავაზებას მოსარგებლებისა და მყიდველებისათვის. შესაბამისად აღნიშნულისა, მოსალოდნელია ბიუჯეტში შემოსულობების ზრდა.

4. კომისიამ ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი